


140
1939/2.

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

სიბავშვობა



ბიულეტენი

საქ. აღკვ. ცენტრალური კომიტეტისა და
საქ. განსახორმის ეკთმზიური უზრნალო

აგვისტო, 1939 წ., № 8

გამომცემლობა „კომუნისტი“, რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3-02-61.

შინაარსი

	88.
1. ი. მჭედლიშვილი — პირველი მახვილი (ლადო კეცხოველის ცხოვრებიდან)	1
2. ბ. კაჭახიძე — მტრედები (ლექსი)	4
3. ბელა ბალაში — ჰენრის კლამი (შემოკლებული თარგმანი ელ-ისა)	5
4. სანდრო ჟღენტი — ეს მთა და ბარი (ლექსი)	9
5. ჭ. თოთიბაძე — უფრო მაღლა, უფრო შორს!	10
6. იოჰან ვოლფგანგ გოეთე (დაბადებიდან 190 წლისთავის გამო)	12
7. გოეთე — ტყის მეფე (ლექსი—გერმანულიდან თარგმნა თ. შან-შიაშვილმა)	14
8. ლ. ზიჰინაძე — შეხვედრა	15
9. მოსწაფელთა შემოქმედება (ლექსები)	16
10. ემ. ბიორბაძე — სარკე (ნარკვევი)	გარეკანის მე-3 გვ.
11. ვ. კახიანი — უცნაური ქმნილებანი—ზღვის ზღარბი და ფახაკი	გარეკანის მე-3 გვ.
12. გასართობი	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალის გაფორმება და ყდის მზატვრობა

ეკუთენის მზატვ. ი. ქოქიაშვილმა.



პირველი მხედავი

(ლადო კეცხოველის ცხოვრებიდან)

მ. მ. მ.

შემოდგომის გატრეცილმა ცამ ოდნავ გაიღიმა აღმოსავლეთით და ისევ შეიკრა შუბლი. მოიქეშა.

თბილისის სასულიერო სემინარიის ზარი დაირეკა და მოწაფეები კლასებისაკენ გაიქცნენ. მასწავლებლის გამოჩენამდე ხტოდნენ, ყვიროდნენ, ცელქობდნენ. მაგრამ გამოჩნდა თუ არა მამა ხარლამპი, უეცრად შეწყდა ყველაფერი. კლასში შემოვიდა ყორნის მსგავსი, გრძელნაფორიანი მამა ხარლამპი.

მოწაფეები მორჩილად ადგნენ ფეხზე.

მამა ხარლამპიმ პირჯვარი გამოი-სახა ხატისკენ მიბრუნებით და თქვა:

— სმირნოვსკი, ლოცვა.

სმირნოვსკიმ „მამაო ჩვენო“ თქვა და მოწაფეები დასხდნენ.

მამა ხარლამპიმ წვერები ჩამოივარცხნა, გაიჩეჩა, გადაისვა თავზე ხელი და ჟურნალი გადაშალა. დიდხანს ათვალეირა იქ ვილაცა, მერე ჩაფიქრდა და წამოიძახა:

— ჰო. ვინ შეტყვის გაკვეთილს?

ამის თქმა და მისკენ ხიშტებივით თითების გა-შვერა ერთი იყო.

წამოდგა ერთი. წამოდგა მეორე. წამოდგა მე-სამე და ყველა ამბობდა იმას, რაც სახელმძღვანე-ლოში იყო ჩაწერილი, იმეორებდნენ ბიბლიის ზღა-პრებს.

— რად ვისვენებთ მეშვიდე დღეს?—ჰკითხა ხარ-ლამპიმ ერთ-ერთ მოწაფეს.

— იმიტომ, — მიუგო მოწაფემ, — რომ ღმერთმა ქვეყნიერება ექვს დღეს შექმნა, ხოლო მეშვიდე დღეს დაისვენა.


ამ სიტყვებზე ერთმა მოწაფემ გაიცინა.

— რას იციანი, კეცხოველო?—მიჰმართა მას ხარ-ლამპიმ.

ფეხზე წამოდგა ლადო კეცხოველი, შუბლი შეი-კრა და დინჯად თქვა:

— ღმერთი რომ ექვს დღეს მოუწადა ცის და ქვე-ყნის შექმნას, რაღამდენ დღეს მოუწადა ადამიანი ღმერთის შექმნას?

— გაგიჟდა? — დაუყვირა ხარლამპიმ ლადოს. — ჰკუაზე ხარ? — დაუმატა კიდევ და ჩააშტერდა თვა-



ლადო კეცხოველი ბავშვობისას

ლებში, მაგრამ ლადოს თვალები ძირს არ დაუხრია.

— თუ არა ვარ ჰკუაზე და შევცდი, მიპასუხეთ, მომიყვანეთ გონზე, — უთხ-რა ლადომ მამა ხარლამპის.

ხარლამპიმ ტუჩები გააცმაცუნა და გაიჭიმა. გამახვილდა ყურთასმენა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს კლასი დაცარიელდა.

— როგორ? — იკითხა ხარლამპიმ. — შენ ბედავ იმის თქმას, რომ ღმერთი შექმნა ადამიანმა?

— რატომ არა...

— სისულელესა როშავ! — დაუყვირა ხარლამპიმ. — ადამიანმა შექმნა ღმერ-თიო, ეს ხომ სიცრუეა, წარმოუდგე-ნელი უგუნურება, სიშმაგე, განა ადამიანს შეუძლიან ღმერთის შექმნა?!

— რატომ არა, მასწავლებელო, — თქვა ლადომ, — ჩვენ ვიცით, რომ ჯოჯოხეთი არ არსებობს, მაგრამ ის გონებით შექმნა დანტემ თავის უკვდავ „ღვთა-ებრივ კომედიასში“.

— ვინ გითხრა, რომ არ არსებობს ჯოჯოხეთი? დეეგდე! ათეისტო! ურწმუნო! — გაჯავრდა ხარ-ლამპი. მაგრამ ლადო დაჯდომას არა ფიქრობდა.

— დეეგდე მეთქი და მაგნაირი ლაპარაკი აღარ გავიგო!

— იქნება ვცდები? — უთხრა დამშვიდებით ლა-დომ.

— შენ გეუბნები, დაჯექ და შენი ხმა აღარ გა-ვიგონო! — დაარტყა მაგიდას ხელი მამა ხარლამპიმ.

— რათა, მასწავლებელო? — განაგრძობდა ლადო კეცხოველი. — მე მინდა დავრწმუნდე თქვენი მოძ-ღვრების სიმართლეში, ამიტომა გთხოვთ დამიმტ-კიცოთ მისი სისწორე და დამარწმუნოთ...

— შენ ათეისტი ხარ და ველარავინ დაგარწმუ-ნებს...

ამ დროს დაირეკა გაკვეთილის გათავების მაუ-წყებელი ზარი. გაბრაზებული წამოდგა ხარლამპი, დაავლო ჟურნალს ხელი, ერთი მაგრად, შეუბღვი-რა ლადო კეცხოველს, რომელიც ისევ ისე მშვიდად იდგა, და გავარდა გარეთ.

მოწაფეებმა სიცილი გაადევნეს მოძღვარს.

სამასწავლებლოში შესული ხარლამპი ღელავდა, ჰკითხეს, რასა სწუხ მამაო ხარლამპიო. მან არაფე-

რი თქვა ლადო კეცხოველზე, მხოლოდ საყვედური გამოთქვა მოწაფეთა ყოფაქცევის შესახებ.

მან გადაწყვიტა ლადოს „გამოკეთება“, „მოქცევა“, მოქრისტიანება, როგორც ის იტყოდა ხოლმე, და მიჩქმალა ეს ამბავი.

—:—:—

მეორე გაკვეთილი ისტორიისა იყო.

გახანებულ საყვლოში კისერდაცხვებულმა და თმა-აბურცვნილმა ივან პეტროვიჩმა გამოიძახა მოწაფე დობროტინი და უთხრა:

მალე კომისია იქნება, ამიტომ უნდა თვალი გადავავლოთ განვლილსა და, როგორც კარგმა მოწაფემ, მოკლედ მიამბე ჩვენ მიერ განვლილი ისტორია კაცობრიობის დასაწყისიდან.

მართლაც, დობროტინი საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა და მან სიტყვა-სიტყვით უამბო ადამ და ევიდან დაწყებული ამბავი. მოკლედ და მკაფიოდ, რამდენიმე წინადადებაში ათავსებდა იგი ამათუიმ საუკუნეს. მოკლედ თქვა ქვეყნიერების შექმნის ამბავი, ადამ და ევა როგორ გამოჩნდა ღმერთმა სამოთხიდან, მათი ცხოვრება დედამიწაზე, გამრავლება და ჩამოვიდა ეგვიპტე-ბაბილონის ამბებზე.

ივან პეტროვიჩმა მეტად მოუწონა კარგ მოწაფეს ასე სხარტად თვალის გადავლება განვლილი-სათვის.

— აბა, კეცხოველო, თუ შევიძლიან, გაიმეორე მაინც დობროტინის თქმული.

ლადომ მწარედ ჩაიციხა ამ დამცირებაზე: გაიმეორე მაინცო, თითქოს მას არ შეეძლო ასევე ნათლად და მკაფიოდ ეთქვა ყოველივე ის, რაც დობროტინმა თქვა, რაც ათასჯერ ნათქვამი და ათასჯერ დაღეჭილი იყო მასწავლებლის მიერ.

ლადო შუბლშეკრული ადგა. დინჯად გამოვიდა თავისი მერხიდან და დადგა მასწავლებლის მაგიდასთან.

— ადგილიდან ვერ მიპასუხებდი? — ჰკითხა ივან პეტროვიჩმა.

— მე მინდა ცოტა ვრცლად მოგახსენოთ კაცობრიობის ისტორია, მერხი მიშლის და აქედან უფრო...

— კარგი, თქვი, — დართო ნება ივან პეტროვიჩმა.

— კაცობრიობის ისტორია, თუ დაუჯერებთ დაბადებას, ანუ ბიბლიას, იწყება ადამ და ევიდან. უფრო იმ წუთიდან, როდესაც ისინი გამოჩნდა ღმერთმა სამოთხიდან.

— რას ნიშნავს „თუ დაუჯერებთ?“ განა დაბადება დასაჯერი არ არის? — შეაწყვეტინა ლადოს ივან პეტროვიჩმა.

— რა თქმა უნდა, ბევრი უჯერებს დაბადებას, მაგრამ

არაინ მეცნიერები, რომელნიც ბიბლიას კარგი და მოხდენილი ზღაპრების წიგნს უწოდებენ და რომელზედაც დაყრდნობა არც ერთ მეცნიერს არ შეუძლია, ვინაიდან ეგ ყოველივე დაწერილია მას შემდეგ, რაც ადამიანმა წერა დაიწყო. წერა კი ადამიანმა დაიწყო უფრო გვიან, ვიდრე იქ აღწერილი ამბებია...

ივან პეტროვიჩი ცოტა შეშფოთდა, მან მრისხანედ შეჰხედა ლადოს და წაიბურტყუნა:

მაგისტანების ცოდნა შენთვის საჭირო არ არის.

— კაცობრიობის ნამდვილი ისტორია, — განაგრძო ლადომ, — იწყება მას შემდეგ, რაც იეროგლიფებით დაიწყეს აზრის გადმოცემა ეგვიპტესა და ბაბილონში, ეს კი მოხდა 4000 წლის ფარგლებში ჩვენი ერის დაწყებამდე, ანუ, როგორც მოგახსენებენ, ქრისტეს დაბადებამდე.

— გაჩერდი! — წამოიყვირა ივან პეტროვიჩმა.

— ადამ და ევიდან მოყოლებული ამბები, რასაც თქვენ გვასწავლით როგორც ისტორიას, — ისტორია არ არის.

— გაჩუმდი! — დაუყვირა ივან პეტროვიჩმა, მაგრამ ლადო არ გაჩუმდა. იგი ისევ განაგრძობდა თავისებურად, რის გამოც ივან პეტროვიჩმა თმაში იტაცა ხელები და ყვირით გაიქცა სამასწავლებლისაკენ:

— Ересь! Ересь!

—:—:—

სამასწავლებლოში ივან პეტროვიჩის დირექტორი არ დახვდა, სამაგიეროდ იქ იყო დირექტორის თანაშემწე ბურლაკინი, რომელიც ნაროდნიკობისათვის შიდა რუსეთიდან გადმოესახლებინათ განაპირა ქვეყანაში, საქართველოში. ბურლაკინს ორი სხვა მასწავლებელი ახლდა თან და სწორედ ამათ შესჩივლა თავისი უბედურება ივან პეტროვიჩმა.


ბურლაკინი გაჰყვა ივან პეტროვიჩს და ორი მასწავლებლით შეჰყვა კლასში.

არაჩვეულებრივი სიწყნარე დახვდათ კლასში. მოწაფეები დიდი შიშისა და ინტერესისაგან ხმაგამედილი ისხდნენ. გაფითრებულები ციმციმ წამოდგნენ მათ შესვლაზე და განკარგულების შემდეგ ისევ დასხდნენ. მხოლოდ ლადო იდგა ისევ დინჯად და შშვიდად.

— ეს მოწაფე უარყოფს ღმერთსაც, ჩვენს მოძღვრებასაც და თვით იმ ისტორიასაც, რომელიც ადამიანის შექმნის პირველი დღეებიდან მოდის.


— მართალია, კეცხოველო? — ჰკითხა ბურლაკინმა ისეთი კილოთი, თითქოს არაფერი იყო.

— რას ვუარყოფ, არ ვიცი, ბატონო, ხოლო გაკვეთილს კი ვუამბობდი.





— გაკვეთილს!
 — დილ, გაკვეთილს.
 — მაშ განაგრძე და ჩვენც მოგისმენთ.
 ლადომ განაგრძო:



— სახარებაში წერია:
 „არა მარტო პური იკვებება ადამიანი“ ეს სრული ჭეშმარიტებაა.
 — მართალია! — წარმოთქვას იქ მყოფებმა ერთად და ერთმანეთს ამყად გადახედეს, თითქოს ესამოგნათ, რომ ლადო ერეს კი არა, ჭეშმარიტებას ლაპარაკობდა.

— დილ, — განაგრძო ლადომ, — სრული ჭეშმარიტებაა: ადამიანი მარტო პური არ იკვებება და ჩვენც, მოწაფეები, მარტო იმას კი არ ვიჯერებთ, რაც სახელმძღვანელოებში წერია, სახელმძღვანელოების გარდა სხვა წიგნებსაც ვკითხულობთ, სხვა მეცნიერებასაც ვაღვწევთ თვალყურს. გარდა სამღვთო სჯულისა, ფიზიკასაც ვსწავლობთ, სადაც არა ექვსი დღის ამბავია ქვეყნიერების შექმნა, არამედ მილიონი წლებისა.

— მართალია! წარმოთქვა ერთხმად ყველა იქ მყოფმა და ერთმანეთს დიდი გამომეტყველებით გადახედეს.

ლადომ განაგრძო...
 ყველაფერი, რაც აქამდე ესწავლებინათ, თვით უკანასკნელ წვრილმანებამდე, ისე სწრაფად და ნათლად უამბო იქ მყოფთ, რომ განცვიფრებით შეჰყურებდნენ. თვით ივან პეტროვიჩი გაკვირვებული იყო იმით, რომ ლადომ თვით ისიც კი უამბო, რაც მას კლასში ჯერ არ ეთქვა მოწაფეებისათვის.

— ყოჩაღ! — თქვა მასწავლებელმა.

მაგრამ, — განაგრძო ლადომ, — ეს ყოველივე, შესაძლოა, ისტორია არ იყოს. მრავალი მეცნიერი ეძებს და იკვლევს კაცობრიობის ისტორიის ნამდვილ სათავეებს. თქვენ, რალა თქმა უნდა, ჩემზე უკეთ იცით, რომ დღესაც ხდება ბაბილონისა და ეგვიპტის მიდამოებში გათხრები სამეცნიერო მიზნით. თხრიან და მიწაში ეძებენ ნანგრევებს, მათზე წარწერებს, ნაშთებს, ნიმუშებს მაშინდელი ცხოვრებისას, რათა მათის მიხედვით აღადგინონ კაცობრიობის ისტორიის სათავეები, სინამდვილე ადამიანის წარმოშობისა.

ივან პეტროვიჩი ცოტა დაპატარავდა, ენა მუცელში ჩაუვარდა. მხოლოდ ერთხელ ამოიკნავლა:

— ათეისტია, ბატონო!

ამის წამოძახებას დირექტორის მოადგილემ, ნაროდნიკმა ბურლაკინმა, არავითარი ყურადღება არ მიაქცია და გაწბილებული ივან პეტროვიჩი უფრო დაპატარავდა; სიცივისაგან გაბუებული ყვავებივით ისხდნენ სხვა მასწავლებლები, რომლებიც დროდადრო რალაცას ჩურჩულებდნენ.

მხოლოდ ბურლაკინის სახეზე არ იყო არავითარი გაკვირვება, პირიქით: მისი სახის გამომეტყველება თითქო თანხმობას გამოთქვამდა ლადოსადმი.

ხოლო ლადო განაგრძობდა:

— თქვენ კარვად მოგხსენებათ, რომ საუკეთესო ნიმუშები კაცობრიობის კულტურისა და ისტორი-

ისა ველური ომებისა და თავდასხმების დროს დაიღუპა. დაგვჩა მხოლოდ ერთი წიგნი — დაბადება, რომელზედაც დაყრდნობა არ შეიძლება.

— ათეისტია, ბატონო, ათეისტი! — წამოიძახა გახარებულმა ივან პეტროვიჩმა, რომელსაც ეგონა, რომ ბურლაკინი ახლა მაინც დაეთანხმებოდა. მაგრამ ბურლაკინმა არც ახლა მიაქცია მას ყურადღება და ლადომ განაგრძო კვლავ თავისებური სიღინჯით:

— როდესაც არაბთა ხალიფმა ალექსანდრია დაიპყრო, მოახსენეს: შესანიშნავი წიგნთსაცავი აღმოჩნდა ალექსანდრიაში და როგორ მოვიქცეთო? ხალიფმა უთხრა: ნახეთ და თუ იმ წიგნებშია ისა წერია, რაც ყურანში, დასწვით, რადგან რა საჭიროა ის, რაც უკვე ჩვენ თვითონა გვაქვსო, ხოლო თუ იმ წიგნებში ის არა წერია, რაც ყურანში, მაინც დასწვით, რადგან საჭირო არ არის ჩვენთვის ის, რაც ყურანში არა წერიაო. ვინ იცის, — სთქვა ლადომ, — იქნებ ბიბლია ერთ დროს ამ ყურანის მსგავსად სპობდა ყოველივე ნამდვილს, ჭეშმარიტსა და ძვირფასს ჩვენი ისტორიისათვის?

— ათეისტია, ბატონებო, ათეისტი! — წამოიძახა სიხარულით ათრთოლებულმა ივან პეტროვიჩმა, რადგან ფიქრობდა გამართლდა და გამოაშკარავდა ჩემი აზრი ლადოს ათეისტობაზეო.

— H-დაა! ჩაიზმუკუნეს კმაყოფილებით სხვებმაც, ხოლო ბურლაკინმა კვლავ არ მიაქცია მათ ყურადღება. პირიქით, სიხარულითა და მღიმიარე სახით, გატაცებული უსმენდა ლადოს, რომელიც განაგრძობდა:

— ბევრი ისტორიკოსისათვის ალექსანდრიის წიგნთსაცავის დაღუპვა დიდ უბედურებას წარმოადგენს: ვინ იცის, რამდენი შესანიშნავი საბუთი და ნაშთი დაიღუპა, კაცობრიობის ისტორიის რამდენი ძველი დაიკარგა, რომელიც საშუალებას მისცემდა მეცნიერებას ისტორიის სინამდვილის გარკვევაში...

— ერთი შეხედეთ ამას! — გაბრაზდა ივან პეტროვიჩი. — ნამდვილი ათეისტია, ბატონებო, ნამდვილი ათეისტი! ნუთუ ვერ დარწმუნდით?

ბურლაკინმა გაიცინა, ხოლო დანარჩენებმა კი წყრომის ნერწყვი ჩაყლაპეს და თავი შეიკავეს.

აკი მოგახსენებთ, ბატონებო, უღმერთოა, ათეისტი! წამოიძახა ისევ ივან პეტროვიჩმა.

მასწავლებლებმა მწარე ღიმილით შეჰხედეს ერთ-მანეთს: ხოლო ბურლაკინმა ჰკითხა ლადოს:

— რა აზრისა ხართ ღმერთზე?

— ღმერთზე მხოლოდ ორი სიტყვის დაწერა შემიძლია— თქვა ლადომ, შემდეგ მივიდა დაფასთან, აიღო ცარცი და დაწერა რუსულად:

მას ქვეშ ქართულადაც მიაწერა: „ღმერთი დიდებულია“.

ეს ბურლაკინს გაეხარდა და ნიშნისმოგებით გადახედა მასწავლებლებს, რომელნიც ათეისტობას სწამებდნენ ლადოს. ამ დროს დაირეკა ზარი.


მასწავლებლები ადგნენ და გავიდნენ კლასიდან, ხოლო ლადო კეცხოველმა დაფაზე დაწერილს:

„ღმერთი დიდებულია!“

ქვეშ წააწერა:

„ფეხებჩამოკიდებულია“...

ბ. კეჭახიძე



ჩვენთან კერქვეშ დაიჩეკენ,
ჰქონდათ ტანი პაწა, ჩია,
ვმზრუნველობდი და ორივე
შემეჩვია.

შემიყვარეს... თითქოს კიდევც
შეითვისეს ჩემი ენა,
საალერსო ჩემი სიტყვა,
ჩემი გულის აღმაფრენა.

სახურავზე ლულუნებენ,
არ იციან კმუნვა, დარდი,
უყვართ სუფთა გათენება,
გამკვირვალე ცის ლაშვარდი.

ნიშანს მივცემ და ორივე
დამაჯდება მხრებზე წყნარად.
გამართობენ...
თუ მომწყინდა
ვეტყვი: „კმარა!“

ფრთებს გაშლიან, წავლენ მაღლა,
შეუტევენ მკერდით ნიავს...

შევბამ—და ბარათები
ნელისაკენ ერთად მიაქვთ.

გადუვლიან სწრაფად ქუჩებს,
სიამოვნობთ ფრენა, გარჯა...
ცნობილობენ ნელის ეზოს,
ნელის ბაღჩას.

მაგრამ ბრძოლის ქარიშხალი
მიწას ცეცხლად თუ აანთებს,
ეს მტრედები სხვა ადგილზე
წაიღებენ სხვა ბარათებს.

წაიღებენ ცოცხალ სიტყვას
მხნედ იფრენენ ბრძოლის ქარში,
ვერ შეაკრობთ ფრონტის ცეცხლი,
ვერც განგაში.

ბოლოს ღმერთით გადუვლიან
ტყის ბილიკებს, მინდვრებს გაშლილს
და ხალხს შრომის გამარჯვებას
ყველგან ერთად, მთა და ბარში,
ახარებენ ფრთების ტაშით.

ბენის კლავი



(შემოკლებული თარგმანი)

როგორ თავაზობდა
ეზოში ჰენრიხი

ჰენრის კლავი 7 წლისა იყო. ის გერმანულ ქალაქში ცხოვრობდა. კლავები სულ სამი იყვნენ: მამა, დედა და ჰენრიხი. მათთან ცხოვრობდა აგრეთვე ვოლფი, დიდი რუხი ძაღლი. ისინი ცხოვრობდნენ მე-5 სართულზე, სხვენის გვერდით.

ჰენრიხი სკამზე იძინებდა, ვოლფი კი პატარა ძველ ხალიჩაზე, სკამისა და ტანისამოსის კარადის შუა. ეს იყო მისი მუდმივი საძოვოელი. საკმაო იყო ეთქვათ „ვოლფი, ადგილზე!“ და იმ წამსვე გასწევდა თავისი ხალიჩისაკენ. ვოლფი ძალიან ჰკვიანოდა იყო. ის როდესაც საჭმელის სუნს იგრძნობდა, მაშინვე მიიბრუნებდა თავს, მან იცოდა, რომ თვით კლავებსაც თითქმის არ ჰქონდათ საჭმელი, რადგან მამა—კლავი უკვე დიდიხანა უმუშევარი იყო.

იმ დღეს, როდესაც ეს საშინელი უბედურება მოხდა, ჰენრიხი და ვოლფი ჩვეულებრივად სრულ 5 საათზე ჩავიდნენ ეზოში. ეზო დიდი იყო და აქ ყოველთვის ბევრი ბავშვი იყრიდა თავს.

უფროსები, ათი წლის ზევით, ქალაქის ბაღში მიდიოდნენ ფეხბურთის სათამაშოდ, ეზოში კი მხოლოდ პატარები იკრიბებოდნენ. ისინი უმუშევრობანას თამაშობდნენ. მათ ძალიან უყვარდათ ეს თამაში.

ბავშვები, რომლებიც უმუშევრების როლს ასრულებდნენ, უკვე გამწკრივებულ იყვნენ რიგში სარდაფის ჩაკეტილი ფანჯრის წინ, — ეს იყო შრომის ბირჟა.

ჰერბერტ ვაგნერი, რომელიც ასრულებდა მოხელის როლს, ყუთზე იჯდა და გაზეთის ნახევებს არიგებდა: ეს იყო ფულადი დახმარება უმუშევრებზე.

მთავარი კიშკრიდან გამოჩნდა ბავშვების რაზმი ჯოხებით ხელში, ფაშისტების ფორმებში გამოწყობილნი — ესენი პოლიციელები იყვნენ.

როგორც კი ჩამოვიდა ეზოში, ჰენრის კლავს მაშინვე მოესმა ევალდის ხმა.

— ჰენრის კლავ! აქეთ, ჩვენთან ითამაშე!

ევალდი 9 წლისა იყო. მას ძალიან მსუქანი, წითელი ლოყები ჰქონდა. ის ნამდვილი პიმფი 1) იყო

1) პიმფი — ეს არის სახელწოდება ბავშვთა ფაშისტური ორგანიზაციისა, რომელშიაც ერთიანდება ყველა ბავშვი 6 წლიდან 12 წლამდე. ბავშვები მოვალენი არიან ატარონ ფორმა. მაგრამ მუშის შვილები იცვამენ მხოლოდ სასკოლო დღესასწაულებზე, როცა ეს სავალდებულოა, ნამდვილი ფაშისტების შვილები კი ფორმას ყოველთვის ატარებენ.

და არასოდეს არ იხდიდა ფორმას, ყვიროდა და განკარგულებებს იძლეოდა, იმიტომ რომ მისი მამა კაპიტანი იყო.

— მოდი, ითამაშე! — უბრძანა მან პატარა ჰენრიხს. ჰენრიხი წყნარი ბიჭუნა იყო. ის მივიდა ევალდთან.

— დღეს მე მინდა პოლიციელი ვიყო, — თხოვნით მიმართა მან.

— შენ რომ ფორმა არა გაქვს?

— მამას არ შეუძლია მიყიდოს ფორმა.

— ხომ ხედავ? მაშ როგორ თხოულობ პოლიციელობას? ახლავე დადექი, უმუშევრებთან. იარ!

ჰენრიხი დამჯერე იყო, ის წავიდა და დადგა უმუშევრების რიგში. იქ იდგნენ ისინი, რომლებსაც არ ეცვათ ფორმები.

კიშკართან კი იდგნენ ნამდვილი პიმფები ყვითელი ხალათებით, შავი გალსტუკებით, ტყავის ქაშრებითა და კეპებით. თამაში უკვე დაიწყო.

ჰერბერტ ვაგნერმა დაიღრიალა:

— სიჩუმე! — და დაიწყო ქალაქის ნახევების დარიგება.

— შენ — ერთი მარკა და 20 პფენინგი, შენ — ერთი მარკა, შენ კი არაფერს არ მიიღებ.

— მე ოთხი შვილი მყავს, — უთხრა მკერავის შვილმა პეტრე კაარმა. — და 12 შვილიშვილი, — დაუმატა მან, — და 30 შვილისშვილისშვილი!

უმუშევრებს გაეცინათ, ჰერბერტმა კი დაიღრიალა:

— ეს ჩემი საქმე არ არის! წადი შავ მუშად. ქუჩები დაგავე! — და მკერდში ჰკრა პეტრე კაარს ხელი.

— ეი, ლოტარ! — უცბად შეჰყვირა ევალდმა და გამოედევნა ვილაც ბიქს, რომელიც წიგნებით ხელში მიდიოდა ეზოში. ეს იყო ექიმის შვილი; ის უკვე 10 წლისა იყო, მაგრამ უფრო დაბალი და სუსტი იყო, ვიდრე ევალდი. ლოტარი არ ატარებდა ფორმას, რადგან ის არ იყო ნამდვილი პიმფი. ლოტარმა ვითომ ვერ გაიგო ყვირილი და განაგრძო გზა.

— ლოტარ, არ დაიძრა! — დაიყვირა ევალდმა და მისი ლოყები უფრო მეტად გაიბერა და გაწითლდა.

— რა გინდა? — წყნარად შეეკითხა ის და შეხედა თვალებში.

— ჩვენთან ითამაშე!



— სამწუხაროდ, არ შემიძლიან: კბილები მტკი-
ვა. — და ლოტარი წყნარად ავიდა კიბეზე ისე, რომ
უკანაც არ მოუხედავს.

უმუშევრებმა ატეხეს ხმაური, სწორედ ისე, რო-
გორც უფროსები, ნამდვილი უმუშევრები, ატეხენ
ხოლმე.

— ჩვენ არ გვინდა თქვენი კაპეიკები! — შეს-
ძახა ჰანს აკერმანმა. — ჩვენ სამუშაო გვინდა.

— წყნარად! წესრიგი დაიცავით! — ღრიალებდა
ჰერბერტი.

— სამუშაო და პური! — ყვიროდნენ უმუშევრე-
ბი და იქნევდნენ მუშტებს.

— ჰენრიხმაც, რომელიც ყველაზე უკან იდგა,
შეჰყვირა: — სამუშაო და პური!

მისი სუსტი ხმა არც კი ისმოდა, მაგრამ მან
იგრძნო, რომ თავში სისხლი მოაწვა და გულმაც
ძგერა დაუწყო.

— სამუშაო და პური!

— ალო, ალო! — დაიყვირა ჰერბერტმა ხელის
პირთან მიტანით, ვითომ ელსმენით ლაპარაკობ-
და. — ბატონო პოლიცმეისტერო! ლაპარაკობს ჰერ-
ბერტ ვაგნერი, გთხოვთ დაუყოვნებლივ გამოცხად-
დეთ, აქ კომუნისტური დემონსტრაციაა უმუშევრე-
ბისა, გამოგზავნეთ ჯავშნიანი ავტომანქანები და
ტყვიამფრქვევები.

— რა-რა-რა! რა-რა-რა! — გაისმა მრისხანე გუგუ-
ნი პოლიციის ავტომობილისა და ყველა ბავშვი —
გოგონები და ბიჭები, რომლებიც თამაშს შესცქე-
როდნენ, დაიფანტნენ. მხოლოდ პატარა ქერათმიანი
გოგონა შტარკი დარჩა ადგილზე და განაგრძობდა
ყურებას.

გენრიხსაც უხდოდა გაქცეულიყო, მაგრამ შეამ-
ჩნია, რომ ლოტარი ისევ ქვევით დგას კიბესთან
და უყურებს მას. ჰენრიხს შერცხვა.

— სად არის აქ უმუშევრების დემონსტრაცია? —
დაიყვირა ევალდმა, თან დახტოდა ეზოში და იქნევდა
ჯოხს ისე, თითქოს მართლა ველურ ცხენზე ზისო.



— აქ, ბატონო პოლიცმეისტერო, — შესძახა
ჰერბერტმა.

დაიშალეთ! გასცა ბრძანება ევალდმა და შეი-
ჭრა უმუშევრებში. — ცხენოსანო პოლიციავ! — დაი-
ღრიალა ევალდმა (მას დაავიწყდა, რომ ისინი ავ-
ტომობილით მოვიდნენ), — იერიშზე! და მას მიჰყვა
14 ნამდვილი პიმფი. ისინი იქნევდნენ ჯოხებს.

თამაში სხვა სახეს ლეგულობს

ამის შემდეგ, თამაშის წესის მიხედვით, უმუშევ-
რები უნდა გაქცეულიყვნენ. ასე თამაშობდნენ ისი-
ნი ყოველთვის, მაგრამ ფრიც ლამპე, რომელსაც
წარსულ კვირას ბიძა დაუპატიმრეს, გააფთორდა.
მან უთხრა კაარს:

— ამ ფაშისტებს ჰგონიათ, რომ ჩვენ შეგვემინ-
და მაგათი ჯოხების!

— დარჩი ადგილზე! — უთხრა კაარმა პატარა
კუნცეს, რომელიც უკვე ემზადებოდა გასაქცევად.
ეს სიტყვები გაიგო ევალდმა და დაიღრიალა:

— დაიშალეთ! — და მღელვარებისაგან ნამდვი-
ლად, ძლიერად ჩაატყა თავში კაარს, მაგრამ მა-
შინვე ისეთი მძლავრი სილა იგემა, რომ მისი კეპი
მიწაზე გადმოფრინდა, მარცხენა ლოყა კი უფრო
გაუსივდა და გაუწითლდა.

უტბად ატყდა ცემატყევა. ერთის მხრივ — თოთ-
ხმეტი ნამდვილი პიმფი, ჯოხებით შეიარაღებულე-
ბი, მეორე მხრივ — 12 უმუშევარი. უკანასკნელთ არ
ჰქონდათ ჯოხები, როცა ჩხუბი დაიწყო, მაგრამ
კოტაც — და ევალდის ჯოხი კაარის ხელში აღმო-
ჩნდა. მალე კუნცემაც ჩაიგდო ჯოხი და ლამ-
პემაც.

შეშინებული ჰენრიხი კედელს ეკვროდა. ის მხო-
ლოდ უყურებდა, როგორ იმტვრეოდა ჯოხები, რო-
გორ ცვიოდა მიწაზე კეპები და ქუდები, ჰაერში
მუშტები მოჩანდა, ზოგიერთი ბავშვი მიწაზე გო-
რავდა.

მან დაინახა აგრეთვე, როგორ გამოვარდა წინ
კარიდან ლოტარი და შესძახა უმუშევრებს:

— შემოიხსენით ქამრები! ეს ყველაზე კარგი
საშუალებაა!

მან მოიხსნა ქამარი და თუმცა ღონიერი არ
იყო, მის წინ მიწაზე უკვე ორი პიმფი გორავდა.
ჰენრიხი უფრო მეტად მიეკრა კედელს. ის არავის
არაფერს უშაგებდა, მაგრამ სქელმა ევალდმა წააგ-
ლო ხელი საყელოში:

— აი, შე წითურო ძაღლო! — ბორო-
ტად შეჰღრიალა მან. — მე შენ გიჩვენებ!

და მან პატარა ჰენრიხი ჰაერში აი-
ტაცა, მაგრამ ვერ მოასწრო დახეთქება,
რომ ვიღაცამ სტაცა ხელი ქამარში — ეს
იყო ლოტარი.

— რას ჩადიხართ! — გაბრაზებით
უთხრა ლოტარმა და თვალები აენთო, —
თავს ესხმით სუსტებს, პატარებს სცემთ!
ეს მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

ევალდმა გაუშვა პატარა ჰენრიხი
და მუშტი გააქანა, რომ ჩაერთყა ლოტარისათვის
სახეში, მაგრამ ლოტარი სწრაფად დაიღუნა. ევალ-
დის ხელი ისეთი ძალით გაქანდა ჰაერში, რომ მან
დაკარგა წონასწორობა და ტომარასავით დაეხეთქა
მიწაზე.

— ვაშა! შესძახეს უმუშევრებმა და იერიშზე გა-
დავიდნენ.

— ვაშა! — შეჰყვირა პატარა შტარკმა ც და მალ-
ლა ასწია თავისი ხის დედოფალა.

პიმფები უკვე გაქცევას აპირებდნენ, რომ ეზოში
უფროსის ხმამ დაიგუგუნა:

— ეი, რა ამბავია აქ?

ყველამ ასწია თავები და გაჭრდნენ. ეს იყო
კაპიტანი ფონ პანვიტცი, ევალდის მამა.

ის შინ ბრუნდებოდა. ბრწყინავდნენ მისი მუნ-
დირის ღილები, მისი სათვალეები და ლაკის ფეხსაც-
მელები — რას აკეთებთ აქ?

ბავშვები, ნამდვილი პიმფებიც და უმუშევრებიც,
ღუმდნენ.

— აბა, ამოიღეთ ხმა! — მკაცრად შეჰყვირა კა-
პიტანმა. ბავშვები ისევ ღუმდნენ. ევალდი კიდევ
მიბრუნდა, რომ მის მამას არ შეენიშნა გასიებული
მარცხენა ლოყა.

მაგრამ გოგონებმა შეჰყვირეს: — ესენი უმუშე-
რობანას თამაშობდნენ, ბატონო კაპიტანო!

— პოლიციელები გაიპარნენ, ბატონო კაპიტა-
ნო, — სიხარულით შესძახა ხილდა შტარკმა.

ევალდმა შენიშნა, რომ მისი მამა, მოიღუშა და
თქვა:

— ტყუილია! ჩვენ მათ საკმაოდ ვურტყით.
ამ დროს ხილდამ აიღო ევალდის კეპი და მია-
წოდა კაპიტან ფონ პანვიტცს.

— აი, ინებეთ თქვენი ევალდის კეპი, — და თა-
ვი ეშპაკურად დაბლა დახარა, — მან დაკარგა ეს
გაქცევის დროს.

კუნცეს, ლამპეს და კაარს სიცილი აუტყდათ.
მალე ყველა უმუშევარმა ატეხა ხმამალალი ხარხა-
რი. მათთან ერთად იცინოდნენ გოგონებიც, მაგრამ
ყველაზე ხმამალლა კისკისებდა ხილდა შტარკი.

კაპიტანი ფონ პანვიტცი გაწითლდა და მიუ-
ბრუნდა პიმფებს:

— გრცხვენოდეთ! — თუ თქვენ გსურთ გამო-
ხვიდეთ ნამდვილი პოლიციელები, მაშინ უფრო ყო-
ჩალად უნდა იჩხუბოთ. ახლა კი გვიჩვენეთ, როგორი
სიარული იცით. დაეწყვეთ მწკრივში!

პიმფები სწრაფად დაეწყვენენ. დანარჩენი ბავშვე-
ბიც დადგნენ წყვილ-წყვილად. ევალდმა გასცა
ბრძანება:

— ბიჯებით იარ!

ღიღი უბედურება

კაპიტან ფონ პანვიტცი წავიდა. ევალდი ამაყად
მიდიოდა წინ და ვერ ამჩნევდა, რომ მისი რაზმი თან-
დათან მცირდებოდა. პირველად გაქრა ლოტარი,
ბოლოს რაზმში დარჩნენ მარტო პიმფები. მხოლოდ
ყველაზე პატარა ჰენრიხ კლამი მიაბიჯებდა პიმფებ-
თან ერთად. მას მოსწონდა ფორმა და ძალიან
უყვარდა მწკრივში სიარული. ისინი მიუახლოვდნენ
ჭიშკარს. უცბად ჭიშკრიდან ეზოში შემოვიდნენ ნამ-
დვილი პოლიციელები. პიმფებმა შესძახეს „ჰაილ
ჰიტლერ!“ და აედგნენ პოლიციელებს. მათ მისდევ-
და პატარა ჰენრიხიც.

სახლში შევიდნენ ყველანი, მათთან ერთად ჰენ-
რიხიც. ყველანი კიბეზე ავიდნენ, მათთან ჰენრიხიც.

— ალბათ, დააპატიმრებენ ვინმეს? — ეკითხა
მან აღელვებული ხმით.

— რასაკვირველია, რომელიმე წითელ დამნაშა-
ვეს, — გაიგო მან პასუხად.

ჰენრიხი აღტაცებაში მოვიდა. რა საინტერესოა!
მათ უკვე მესამე სართულს მიაღწიეს და დაიწყეს
ასვლა კიდევ ზევით.

— სადღა მიდიან? — გაკვირვებული ეკითხებო-
და თავისთავს ჰენრიხი. აქ უკვე ყველა მცხოვრე-
ბელს იცნობდა ის და ისინი არ იყვნენ ცუდი
ხალხი.

მიაღწიეს მეოთხე სართულს. ჰენრიხი შედგა.
პოლიციელები ისევ ზევით მიდიოდნენ, მაგრამ ჰენ-
რიხი აღარ აჰყვა მათ: ისე შეიპყრო შიშმა, რომ
ადგილიდან ვეღარ იძვროდა, სად მიდიან პოლი-
ციელები? მეხუთე სართულზე მხოლოდ ერთი პატა-
რა საკანია, სხვენის გვერდით.

— დაიხიეთ! — უხეშად დაუყვირა პიმფებს ერთ-
ერთმა პოლიციელმა.

— დაცალეთ კიბე!

მათ დაიხიეს და კედელს გაეკვრნენ. მათ იცოდნენ,
რომ იქ ცხოვრობენ ჰენრიხის მშობლები.

ჰენრიხი მეოთხე სართულზე კუთხეში მიიკუნჭა.
პიმფები ახლა მას შესცქეროდნენ. მათი თვალები
ბოროტი ცნობისმოყვარეობით ანთებულიყო.

ჰენრიხს არ შეეძლო ამის ატანა, მან სახე კედ-
ლისაკენ მიიბრუნა და ჩაჯდა.

მამამ ორი პოლიციელის თანხლებით მის ახლოს
ჩაიარა, მაგრამ არ შეუმჩნევია კუთხეში პაწაწინა
ფიგურა, თუმცა იგი თვალებით გამუდმებით დაე-
ძებდა ვაჟს, რომ უკანასკნელად ერთხელ კიდევ
შეეხედა მისთვის.

ჰენრიხი დიდხანს იჯდა კუთხეში უძრავად. პიმ-
ფები უკვე წასულიყვნენ.

უცბად ჰენრიხმა ვოლფის ცივი ცხვირის შეხება
იგრძნო. ძალღი თბილი ენით ულოკავდა ლოყას.
მიუბრუნდა, მოეხვია ჰენრიხი ძალღს ყელზე, თავი
ვოლფის თავს მიაყრდნო და ცრემლები დვარად
წასკდა.

შენ რომ აქ ყოფილიყავი, — ტიროდა ის, — შენ
არ გაატანდი მათ მამას. შენ დაჰკბენდი ყველა
პოლიციელს!

როდესაც ჰენრიხი და ვოლფი ოთახში შევიდ-
ნენ, დედა საწოლზე იწვა, თავი ბალიშში ჩაეფლო და
მათი შესვლა არ გაუგია. ჰენრიხი კართან შედგა.
მას ეშინოდა ახლოს მისვლა. მაგრამ ვოლფმა მიი-
რბინა საწოლთან, შედგა უკანა თათებზე და კულის
ქნევით დაუწყო ჰენრიხის დედას კისრის ლოკვა.

ფრაუ კლამი წამოდგა. ის უფრო გამხდარი მო-
ჩანდა, სახე ფერმკრთალი ჰქონდა, თვალები დას-
წითლებოდა ტირილისაგან.

— ჰენრიხ, ჩემო შვილო! — შეჰყვირა მან და
აკანკალებული ბიჭი მკერდზე მიიკრა.



მეორე დღეს, როდესაც ჰენრიხი ვოლფთან ერთად დაბლა ჩავიდა, მას არ სურდა ეზოში გაჩერება და მაშინვე ქუჩაში გავიდა. ჩაუარა შრომის ბირჟას, რომელიც მოთავსებული იყო მათი სახლის წინ, და მიიღბინა ქალაქის ბაღთან. მან იქ იკოდა სანაპირო ბილიკი, სადაც საერთოდ არავინ სეირნობდა. დაჯდა სკამზე და დაიწყო ტირილი. ვოლფმა მიიღბინა მასთან და დაუწყო სახეზე ლოკვა, თითქოს სურს დაამშვიდოსო.

— ვოლფი, კარგო, ერთგულო ძაღლო! — მოესმა უცბად ჰენრიხს. მან მიიხედა და შენიშნა ხილდა შტარკი. ჰენრიხს არც კი გაუგია, როგორ მივიდა ის და ჩამოჯდა მასთან სკამზე. ჰენრიხი წამოდგა და წასვლა დააპირა, რადგან სცხვენოდა, მაგრამ ხილდამ ხელი წაავლო.

— არ გინდა ჩემთან ერთად ითამაშო? — შეეკითხა ის. ხილდა ერთი წლით უფროსი იყო ჰენ-

ის მივიდა და ჩამოჯდა სკამზე.

— გინდა კაკალი? — ამოიღო ჯიბიდან კაკლები და სამ-სამი ცალი მიაწოდა ჰენრიხს და ხილდას.

— შეხე, ჰენრიხ, მე რა მაქვს! — ფრიც ლამპეს ორი თითით ეჭირა დიდი შუშის ბურთულა, რომელიც მზეზე მრავალფერად ბრწყინავდა. არასოდეს არ ენახა ჰენრიხს ამაზე უკეთესი რამ!

— მე გაჩუქებ ამას, ჰენრიხ! მხოლოდ არ დაკარგო! — და ფრიცმა ისე ალერსიანად შეხედა, რომ ჰენრიხის პატარა გული სიამით აივსო.

მის დამწუხრებულ სახეზე პირველად აღიბეჭდა ღიმილი. რა კარგი ბურთულაა! რა კარგი ბავშვები არიან! მათ იციან, რომ პოლიციამ გუშინ მისი მამა დააპატიმრა და, მიუხედავად ამისა, მასთან ისე ალერსიანად საუბრობენ, როგორც არასდროს. ჰენრიხი წყნარად იცინოდა, მხოლოდ დალაპარაკება კი ჯერ ვერ გადაწყვიტა.



რიხზე და საერთოდ გოგოებთან ან უფროს ბიჭებთან თამაშობდა. მასთან ასეთი ალერსიანი ის არასოდეს არ ყოფილა. ჰენრიხმა დახუჭა თვალები და მიბრუნდა.

— გინდა, ვითამაშოთ ჩემი დედოფალათი! ან და ავაშენოთ ქვიშით სახლი, აქ ბევრი ქვიშაა.

ჰენრიხი ისევ დუმდა.

— მისმინე, ჰენრიხ, დღეს ჩვენც დალონებულები ვართ, განა მარტო შენ!

ჰენრიხმა გაკვირვებით შეხედა ხილდას. მისი ლამაზი ცისფერი თვალები ისე ალერსიანად ბრწყინავდნენ, რომ მას ხელმეორედ წამოსცვივდა ცრემლები.

— გამარჯობა, ჰენრიხ! — გაისმა უცბად ხმა მეორე მხრიდან. ეს იყო ფრიც ლამპე, შოფერის შვილი. ის უკვე 10 წლისა იყო და არასოდეს არ დაპარაკობდა პატარებთან.

მოვიდა ლოტარიც.

— ა, ჰენრიხ, შენ ყოჩაღი ბიჭი ხარ, მოდი, დავეგობრდეთ. გინდა?

— კი, — წყნარად მიუგო ჰენრიხმა.

ჰენრიხს უყვარდა ლოტარი და პატივს ცემდა მას. არასოდეს არ წარმოედგინა, რომ ლოტარი დაელაპარაკებოდა ისეთ პატარებს, როგორც ჰენრიხი იყო, განსაკუთრებით ახლა. ჰენრიხს ეგონა, რომ ყველა ბავშვი მოერიდებოდა მას და აი, რა საკვირველია, რა კარგია! ფრიც ლამპე უზის მარჯვნივ, ხილდა შტარკი — მარცხნივ, ჭკვიანი ლოტარი კი დგას მის წინ და მისი ხელი ხელში უჭირავს. ჰენრიხმა იმ საშინელი უბედურების შემდეგ პირველად გამოცადა ასეთი ბედნიერება.

ჰენრიხი აღელვებული იყო.

— შენ არ უნდა იფიქრო, ჰენრიხ, რომ შენი მამა სამუდამოდ დაიკარგა. ბევრმა უკვე მოახერხა გამოქცევა საპრობილიედან და საკონცენტრაციო ბანაკებიდან.

ჰენრიხმა გაკვირვებით შეხედა მას მაგრამ ლო-

ტარი სივრცეს გასცქეროდა, თითქოს ეს მას არც კი ეთქვას.

ჰენრიხმა ვერ გაბედა გამოეკითხა რაიმე. იქნებ მოეჩვენა ეს სიტყვები? მაგრამ მან მტკიცედ აღიბეჭდა გონებაში, რომ მამა გამოიქცევა, რომ ის დაბრუნდება...

(დასასრული იქნება)

თარგ. ვლ-ისა

ს. ქაენგი

ეს მთა და ბარი

მთა ზურმუხტების ელვით კიაფობს, ძირს კი მდინარე იმსხვრევა შროლის, რა საუცხოო ამბავს მიაშობს სანაპიროზე ბიბინი მოლის!

კიდით-კიდემდის ცა ივერცხლება, მსურს ლაქვარდებში გავინავარდო, ყოველი ბუჩქი ფოთლის შერხევით შრიალებს ისე, როგორც არასდროს.

შრიალებს მუხაც ფესვებშაგარი, თითქოს ჩურჩულით მესაუბრება, ვის არ მოხიბლავს ეს მთა და ბარი, ან მოელვარე მზე და ბუნება!


როცა ბულბულიც მგოსნის იერით მოჰყვება ტყეში ნაზად გალობას,

მოდით და ნახეთ კვლავ მშვენიერი მდელო — ხავერდის სანახაობა!

მკერდს გაგიგრილებთ კიდევ ნიაფი, გაგიბრწყინდებათ თვალი ნათელი, ზღვად რომ ქცეულა შიშა რძიანი, დამძიმებული ჰურის თაველით.

შეისხით ფრთები, შემოიარეთ ველი, სიმწვანით ალორთქებული, და სიმღერებად აკინძეთ ბარემ ფერად ბუნების დიდი კრებული!

რომ აციმციმდნენ იმ სიშორეზე ცაზე ვარსკლავნი ციცინათლებად, მართლაც, სიცოცხლის ჰიმნია, სწორედ, ყოველი ფოთლის გაშრიალება!



ქ. თოთიბაძე

უკრო კალა, უკრო უოკს!

1.

სამოქალაქო ომის ქარიშხალი ტრიალებდა რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე, ყოველი მხრიდან ისმოდა ტყვიების გულშემზარავი ზუზუნი. ცხელი, გავარვარებული ლითონი მოჰქროდა აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდანაც. მოჰქროდა და მოჰქონდა სიკვდილი, მოჰქონდა საშინელება. გამხეცებული თეთრები გაფთრებით უტევდნენ ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას, ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ ყველაფერს, სწვავდნენ და ჰბუგავდნენ სოფლებს, ქალაქებს...

ღროდაღრო გაშლილი ფრონტების თავზე გუგუნით გადაივილიდა მძლავრი თვითმფრინავები; თვითმფრინავებიდან კვლავ ტყვიების საშინელი სეტყვა წვიმდა. მძიმე ყუმბარები ეცემოდა ძირს, თხრიდა მიწას და შემადრწუნებელ კორიანტელს აყენებდა ჰაერში.

ფრონტის ყაჩაღური ქვეყნებიდან შეეძინათ თეთრებს ეს თვითმფრინავები და თავისუფლებისათვის მებრძოლთა და მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურებისათვის იყენებდნენ.

წითლებს კი არ ჰქონდათ ასეთი თვითმფრინავები. მათ განკარგულებაში მხოლოდ ძველისძველი მანქანები „ილია მურომეცები“ იყო, ზოგ მათგანს ფრთა დამტვრეოდა, ზოგს ხრახნი გაფუჭებოდა, ზოგს კი სხვა ნაწილი. თითოეული თვითმფრინავი ათ ადგილს მაინც იყო დაკვრებული... მაგრამ წითლებს ჰქონდათ გამბედაობა, სიმამაცე, გამარჯვების უსაზღვრო სურვილი.

ძირს, თავგანწირული გმირები ვაჟაკურად იგერიებდნენ გაფთრებულ თეთრებს, მალლა კი ახალგაზრდა სახელმწიფოს ახალგაზრდა შევარდნები „ილია მურომეცებით“ ანადგურებდნენ მტრების თვითმფრინავებს. ბევრჯერ მოწინააღმდეგის ზურგში მოულოდნელად გაჩნდებოდა „მურომეცი“ და თავზარს სცემდა ინტერვენტების ურდოებს...

2.

მაშინ ქვეყანა მძიმე დღეებს განიცდიდა. მრავალი სახელმწიფო, მრავალი მტერი ცდილობდა ოქტომბრის მზის ჩაქრობას. ჩვენ გვაკლდა ბევრი რამ, ჩვენ არ გვქონდა საავიაციო მრეწველობა, არ გვქონ-

და თვითმფრინავები, მოტორები... თვითმფრინავების მშენებლობაზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო. ისევდაისევ ძველ საჰაერო ხომალდებზე ვიყავით დამკარებული. „მურომეცებს“ ვიყენებდით ჩვენი გამარჯვებისათვის, ჩვენი წინსვლისათვის.

და, ბოლოს, მაინც გავიმარჯვეთ. ბრწყინვალედ მოვიგერიეთ შემოსული მტერი და გავდევნეთ შორს — ჩვენი სამშობლოს, ფარგლებიდან.

საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ძველი თვითმფრინავები ახლა უკვე სხვა საქმისათვის გამოეყენებინა. და 1921 წელს გაიხსნა საჰაერო საფოსტო ხაზი: მოსკოვი — ხარკოვი.

დაფრინავდნენ დედაქალაქსა და ხარკოვს შორის „ილია მურომეცები“, დაფრინავდნენ მაგრამ... მათ მოძრაობას ხშირად სულ უბრალო მიზეზი აბრკოლებდა, გაჩნდებოდა თუ არა ცაში ნისლი — თვითმფრინავიც შეწყვეტდა ფრენას და ძირს ეშვებოდა.

დაბეჯითებით არავინ იცოდა, როდის მიფრინდებოდა ხომალდი დანიშნულ ადგილს. არ იყო გაფრენისა და მოფრენის საათების განრიგება. ასათ კილომეტრამდე თუ მიაღწევდა ძლივძლივობით „ილია მურომეცის“ ფრენის სიჩქარე საათში...

3.

შეუძლებელი იყო ასეთი მდგომარეობის გაგრძელება. ქვეყანა მოითხოვდა საჰაერო მიმოსვლის



განვითარებას, ავიაციის სწრაფ განვითარებას. უზარმაზარი სივრცეების შეუფერხებლივ გადალახვას ახალახალი თვითმფრინავებით. 1923 წელს გაიხსნა საჰაერო მიმოსვლის ხაზი: მოსკოვი — ნიჟნი-ნოვგოროდი. გერმანიის ფირმა „იუნკერსისაგან“ შეძენილი იქნა თვითმფრინავები, რომლებსაც უნდა ეფრინათ ამ ახალ ხაზზე.

მაგრამ, როდესაც თვითმფრინავები ჩამოიტანეს, აღმოჩნდა, რომ მათზე ფრენა არავის შეეძლო.

საჭირო იყო სწავლა, ტექნიკის დაუფლება. და სულ მალე ახალგაზრდა ნიჭიერმა მფრინავებმა აითვისეს „იუნკერსი“.

ძალიან სწრაფად ვითარდებოდა საბჭოთა ავიაცია. გულადი შევარდნები ახლა უკვე უფრო სწრა-



ფად, უფრო შორს და უფრო მალა დაფრინავ-
დნენ...

4.

პირველი დიდი გამარჯვება საბჭოთა მფრინავე-
ბისა — ეს იყო თოთხმეტი წლის წინ, 1925 წელს:
გმირმა მფრინავმა, ამჟამად მთელი მსოფლიოსათვის
კარგად ცნობილმა მიხეილ გრომოვმა მოახდინა შე-
სანიშნავი გადაფრენა: მოსკოვი — პეკინი — ტოკიო.

ამავე წლიდან თვითმფრინავები მტკიცედ იჭრე-
ბიან ქალაქისა და სოფლის ყოფაცხოვრებაში. სა-
ფუძველი ეყრება სასოფლო-სამეურნეო ავიაციას.
სწარმოებს ბრძოლა თვითმფრინავებით კალიასთან,
მალარიის კოლონებთან, ტყის მავნებლებთან. საჰაე-
რო ხომალდებით აქრობენ ტყის ხანძრებს.

ეწყობა მრავალი საჰაერო ხაზები. თვითმფრი-
ნავებს მოაქვთ ფოსტა, მოჰყავთ მგზავრები. გაცი-
ლებით უფრო შორს და უფრო მალა დაფრინავენ
ფრთამალი შევარდნები.

5.

ყველგან ჩვენი სამშობლოს უზარმაზარი ტერი-
ტორიის ყოველ კუთხეში მივიდა თვითმფრინავი.
მამაცი მფრინავები უშიშრად მიჰქროდნენ შო-
რეულ აღმოსავლეთში თუ სამხრეთში, უდაბნოებისა
თუ ზღვების თავზე.



მიხეილ გრომოვმა გადასწყვიტა შემოეფრინა ევ-
როპა მრავალმოტორიანი სამგზავრო მანქანით. მან
გადაფრენის ნებართვაც მიიღო. და აი, 1929 წელს
მამაცი მფრინავი აფრინდა სამშობლოს მიწაწყლი-
დან. მან დიდი წარმატებით შემოიფრინა ევროპა
და დაბრუნდა უკან, დედა-სამშობლოსაკენ.

საბჭოთა ავიაციამ სეროიზულად ალაპარაკდნენ
სახლვარკარედ. ჩვენი სწრაფადმზარდი ავიაცია ქე-
ბა-დიდებით მოიხსენიეს.


6.

1934 წელს მსოფლიოში არ დაჩენილა არცერ-
თი კუთხე, სადაც საბჭოთა მფრინავების ლეგენდა-
რული გმირობა არ გაეგოთ. ლევანევსკის, ლიპინ-
დევსკის, დორონინის, სლუპნევის, კამანინის, ვო-
ლოპიანოვის, მოლოკოვის და სხვათა სახელები ელ-
ვის სისწრაფით მოეფინა მსოფლიოს. ყველგან აღ-
ტაცებულნი იყვნენ იმ საოცარი გმირობით, რომე-
ლიც სტალინურმა შევარდნებმა გამოიჩინეს ჩელუს-
კინელთა გადარჩენის დროს. ქარიშხალსა, თოვასა
და ყინვაში უვნებლად გადმოიყვანეს გმირი ადამიან-
ნები ყინულოვანი ბანაკიდან. ძალიან შორს, ძალიან
მალა და ძალიან სწრაფად იფრინეს მაშინ გმირმა
მფრინავებმა.

7.

გაიშალა ბრძოლა არქტიკის დაპყრობისათვის. პო-
ლარული ავიაციის წინაშე დაისვა ამოცანა — ტრანს-
არქტიკული ხაზების გახსნა და ათვისება. ჩვენი გა-
მოჩენილი და გულადი მფრინავი ჩაება ამ საქმეში.
სტალინის მზრუნველობით აღფრთოვანებული მფრი-
ნავთა უშიშარი სამეული — ჩკალოვი, ბაიდუკოვი და
ბელიაკოვი გაფრინდნენ დიდი ბელადის მიერ ნაჩ-
ვენები გზით. მათ ძირდაუშვებლად გადაიფრინეს
დაახლოებით ცხრანახევარი ათასი კილომეტრი და
დაფრინდნენ კუნძულ უღზე (ჩკალოვზე).

ერთი წლის შემდეგ, 1937 წელს, მათ მოახდინეს
ისტორიაში პირველი ძირდაუშვებელი ტრანს-



არქტიკული გადაფრენა, საბჭოთა კავშირის დედაქა-
ლაქსა და ამერიკას შორის. უშიშარმა მფრინავებმა
შეუფერხებლად გადაფრინეს პოლუსს და მივიდ-
ნენ შორს, მეორე ნახევარ სფეროში. მთელი მსოფ-
ლიო აღაფრთოვანა ამ გმირულმა გადაფრენამ. ქე-
ბა-დიდებას ასხამდნენ საბჭოთა ავიაციის, საბჭოთა
მფრინავებს.

„ჩკალოვისა და მისი თანამგზავრების გადაფრე-
ნა, — წერდა ინგლისის ავიაციის მარშალი სალმონ-
დი, — მთელ კაცობრიობას აკვირვებს თავისი გრან-
დიოზულობით. მართლა ზღაპრულია საავიაციო ტექ-
ნიკის ძალა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ძირდა-
უშვებლად გადავლახოთ უსაზღვრო სივრცე. გაფრე-
ნა მოახდინეს საბჭოთა მფრინავებმა, საბჭოთა მანქა-
ნით, საბჭოთა მოტორით. ეს კი მთელი მსოფლიოს
წინაშე ახდენს საბჭოთა ქვეყნის ბრწყინვალე ტექ-
ნიკური შესაძლებლობის დემონსტრაციას“.

არ იყო გასული დიდი დრო და მეორე გმირულმა
სამეულმა: გრომოვმა, იუმაშევმა და დანილინმა გა-
დაუარეს პოლუსს, გადაიფრინეს რა ძირდაუშვებ-
ლად მანძილი მოსკოვიდან მექსიკამდე. ამით გმირ-
მა მფრინავებმა საერთაშორისო რეკორდი დააყა-
რეს, რეკორდი, რომელმაც კვლავ განაცვიფრა
მსოფლიო.

აი, რას წერდა მაშინ საბჭოთა ავიაციასა და
სტალინურ შევარდნებზე ამერიკის გაზეთი „ნიუ-
იორკ ტაიმსი“:

„უკვე მეორედ ვიხდით ქუდს საბჭოთა ავიაციის
წინაშე. გრომოვმა, იუმაშევმა და დანილინმა თავიანთ
თანამემამულეთა მარშრუტის გაფრენით დაამყარეს
ახალი მსოფლიო რეკორდი. მათ მედგად გადა-
ლახეს შორ მანძილზე ფრენის წინანდელი რეკორდი,
რომელიც კოდოსსა და როსის ეკუთვნოდა. საბჭო-
თა მამაც მფრინავებს პირველობის პაღმა ერგებათ.
XX საუკუნეში მათ გახსნეს ჩრდილოეთ-დასავლეთ-
ის ნაძღვილი გზა“.

ბევრი უსანიშნავი რეკორდი დაამყარა საბჭოთა
ავიაციამ. მარტო 1936-37 წლების განმავლობაში
საბჭოთა მფრინავებმა თვრამეტი ახალი საერთაშო-
რისო რეკორდი ჩასწერეს ავიაციის ისტორიაში.

პირდაპირ სასწაულები მოახდინეს მფრინავმა
ქალებმაც. ქალთა რამდენიმე საერთაშორისო რე-
კორდი დაამყარა პოლინა ოსიპენკომ, ასევე ვიშნე-
სკაიამ, მედნიკოვმა და სხვებმა. შორს, ჩვენი საზღ-
ვრების იქით, არის განთქმული სტალინური შევარ-
დნების საამაყო სახელები. ყველას ანცვიფრებს ჩკა-
ლოვის, ბაიდუკოვის და ბელიაკოვის გადაფრენები,
გრომოვის, იუმაშევის და დანილინის გადაფრენები,
გრიზოდუბოვას, ოსიპენკოს და რასკოვას გადაფრე-
ნები, კოკინაქისა და გორდინეკოს გადაფრენები....

ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის
მზრუნველობით და სიყვარულით აღფრთოვანებული
შევარდნები კიდევ უფრო მალა, უფრო შორს, უფ-
რო სწრაფად იფრინენ და მრავალ სასწაულებს უჩ-
ვენებენ მთელ მსოფლიოს.

იოჰან პოლუგანო ბოათა

(დაბადებიდან 190 წლისთავის გამო)

1749 წლის ოცდარვა აგვისტოს, შუადღით, სწორედ მაშინ, როდესაც თორმეტჯერ დაჰკრა საათმა, მაინის-ფრანკფურტში დაიბადა იოჰან ვოლფგანგ გოეთე. პირველი შვილი, პირველი ვაჟი შეეძინათ მის მშობლებს — იოჰან კასპარ გოეთესა და კატარინა ელისაბედ ტექსტორს.

იმ დროს მამა იოჰან კასპარი უკვე ცნობილი კაცი იყო; იგი ითვლებოდა იმპერიის მრჩეველად. იმპერიის მრჩეველის ტიტული მას პოეტის დაბადებამდე შვიდი წლით ადრე მიეღო. ენერგიულ ახალგაზრდას ბევრი წვალემა გადაეტანა, რომ მიეღწია ამ წარმატებისათვის: ვაივაგლახით დაუმთავრებია იურიდიული სასწავლებელი, დიდი ბეჯითობის შემდეგ იურისპრუდენციის დოქტორის ხარისხი მიუღია და მერე შემოუვლია ევროპის ქვეყნები: იტალია, საფრანგეთი, ჰოლანდია.

ძნელი იყო მაშინ გზის გაკაფვა მდაბიო გვარის ადამიანისათვის, გოეთეები კი არც თავადები იყვნენ, არც აზნაურები. და თუ იოჰან კასპარი, ბოლოსდაბოლოს, იმპერიის მრჩეველი გახდა, — ასეთ წარმატებას მან არა მარტო სიბეჯითით მიაღწია, არამედ, უმთავრესად, იმიტომ, რომ მშობლებისაგან კარგა გვარიანი მემკვიდრეობა, სიმდიდრე ღარჩა.

ვოლფგანგის დედა კი წარჩინებული გვარის შთამომავალი იყო. მას შესაფერი განათლება ჰქონდა მიღებული, უყვარდა თეატრი, მუსიკა, სიმღერა, პოეზია, ზღაპრები. ჰქონდა დიდი ფანტაზია, საოცარი მგრძნობიერობა, ჩვილი პოეტური გული, იშვიათი შეგრძნების უნარი.

ხშირად, ძალიან ხშირად, თავის პატარა ვაჟს დაისვამდა გვერდით და უყვებოდა სხვადასხვა ზღაპრებს, ამბებს, თავგადასავლებს. ნორჩი პოეტის ოცნება ხან სად დაფრინავდა და ხან სად.

გატაცებით უყვარდა დედას პირმშო. „ვოლფგანგი რომ არ მყავდეს, ალბად, მეც ისეთივე კათოლიკე გავხდებოდი, როგორც მხატვარი მიულერი“, იტყოდა იგი, როცა ვერ ხედავდა პატარა შვილს.

დედა ძალიან კმაყოფილი იყო თავისი ბავშვით. გრძნობდა, რომ ვოლფგანგს შეუდარებელი თვისებები ჰქონდა: იშვიათი ნიჭი, დიდი დაკვირვების უნარი, განუზომელი ფანტაზია, შესანიშნავი შრომის-მოყვარეობა, სათუთი გული, კეთილშობილი ხასიათი.

სულ ექვსი წლის ძლივს იყო და შორეულმა ამბავმა მეტად შეაშფოთა: გაიგო, რომ ლისაბონში მოხდა დიდი მიწისძვრა, რომლის დროსაც სამოცი-



ბოათა 1791 წელს

ათასი ადამიანი დაიღუპა. შეწუხდა ბიჭი: — ნუთუ „კეთილმა ღმერთმა“ ასე უმიზეზოდ ამოწყვიტა ამდენი უდანაშაულო ადამიანიო.

ბავშვობაშივე აფიქრებდა მას ებრაელების ბედი. ხშირად თავის თვალთ ხედავდა, თუ როგორ ჰქირდავდნენ და ავიწროვდნენ ებრაელებს ფრანკფურტის მტვრიან ქუჩებში. მათ დასცინოდნენ და სცემდნენ ბურთუები და ქალაქის შავბნელი ადამიანები. პატარა გოეთე კი ყოველ ნაბიჯზე გამოესარჩლებოდა ხოლმე ჩაჯრულთ.

ამიტომ ბევრს უყვარდა ეს ბავშვი. ყველამ იცოდა, რომ იგი განსაკუთრებული ბიჭი იყო: არ ცელქობდა სხვებივით, არ დაეხეტებოდა უმიზნოდ. უფრო ხშირად მოხუცებთან ატარებდა დროს, ვიდრე თავის ტოლებთან. დარბაისელი მოხუცები სიხარულით საუბრობდნენ კვიან ბიჭთან.

ვოლფგანგს სძულდა უსაქმოდ ყოფნა, ხან საუბრებში იყო ვართული, ხან ლექსებს სწავლობდა, ხან ზღაპრებს, ხან ბუნებისმეტყველებას, ხან უცხო ენებს: ფრანგულს, ინგლისურს, იტალიურს, ებრაულს, ლათინურს.

ზოგჯერ კიდევ თვითონვე წერდა ლექსებს, შაირებს, დრამებს. თექვსმეტი წლისამ დაწერა მშვენიერი პოემა.

ვოლფგანგის დედა გახარებული იყო იმით, რომ მისი შვილი ლექსებს თხზავდა. ყოველ ახალ ნაწარმოებს პირველად თვითონ კითხულობდა და რჩევადარიგებას აძლევდა ახალგაზრდა პოეტს.

მამა უფრო მოწადინებული იყო ვაჟს იურისპრუდენცია ესწავლა, გამხდარიყო ვეჟილი და მის გზას დასდგომოდა. ამიტომ თექვსმეტი წლის ვოლფგანგი უმაღლეს სასწავლებელში იურიდიულ ფაკულტეტზე მიაღებინა.

სტუდენტი გოეთე ძალიან ბევრს კითხულობდა, ბევრს მუშაობდა და წარმატებითაც სწავლობდა. ბრწყინვალედ დაასრულა მან უმაღლესი სასწავლებელი და მალე იურისპრუდენციის დოქტორის ხარისხი მიიღო.

1771 წელს თავის სამშობლო მაინის-ფრანკფურტში დაბრუნდა და სამ სექტემბერს ფიცი დასდო სასამართლოში, როგორც „მოქალაქემ და ვეჟილმა“. ამ ამბავმა არაჩვეულებრივად აღაფრთოვანა იოჰან კასპარი: აღსრულდა მისი ოცნება, შვილიც ვეჟილი გახდა, შვილიც მამის გზას დაადგა.

მაგრამ იგი მალე დარწმუნდა, რომ ვოლფგანგს არ აინტერესებდა, ეს ხელობა. ვოლფგანგი უფრო მეტად მწერლობაზე ფიქრობდა. ისევ ძალიან ხშირად კითხულობდა შესანიშნავ ნაწარმოებებს და თვითონვე ჰქმნიდა შესანიშნავ ლექსებსა და პიესებს.

1773 წელს გამოვიდა მისი ისტორიული დრამა „ბერლინინგელი გოცი“, რომელმაც საერთო მოწონება გამოიწვია. მაგრამ გოეთეს სახელი, როგორც მზე, ამობრწყინდა რვა თვის შემდეგ, როდესაც დაიბეჭდა „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“. ახალგაზრდა გოეთე უცბად გახდა ცნობილი მწერალი არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელ მსოფლიოში.

„როცა შექსპირი შევიცან, მე ვიგრძენი, რომ ჩემი სული განუსაზღვრელად გაიზარდა, გაფართოვ-

და, გაივსო. ეს ყოველივე ჩემთვის დღემდის ახალი იყო, უცნობი და საოცარი და მისი სულისაგან ამდგარმა სინათლემ თვალები მატიკინა... მე ავიტყვი მაშინ სივრცეში და ვიგრძენი: თურმე, ხელ-ფეხი მსხმია“ — ამბობდა ჰაბუკი გოეთე შექსპირის დღეზე წარმოთქმულ სიტყვაში.

ხოლო უფრო დიდი გავლენა საზოგადოებაზე მისმა „ვერტერმა“ მოახდინა. რომანის წაკითხვის შემდეგ ბევრი ცრემლს აფრქვევდა, ბევრი თხრავდა, ბევრი სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა, ბევრი კიდევ თავს იკლავდა.

ყველგან გოეთეს „ვერტერზე“ ლაპარაკობდნენ, ყველა მას კითხულობდა. ცოტა უფრო გვიან, სახელგანთქმული სარდალი ნაპოლეონი ვატაყებით ეწაფებოდა ამ შესანიშნავი რომანის სტრიქონებს. იგი უბით დაატარებდა „ვერტერს“ და შორს, ეგვიპტეშიც კი კითხულობდა.

სულ მალე, რამდენიმე თვეში, „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ მოჰყვა მშვენიერი დრამები.

უკვე საქვეყნოდ ცნობილი გოეთე ვაიმარის პრინცმა მიიწვია. ახალგაზრდა პოეტმა სიხარულით მიიღო მიწვევა, გადასახლდა ვაიმარში და შემდეგ სულ იქ ცხოვრობდა.

1782 წელს იგი დანიშნეს სასამართლოს თავმჯდომარედ, რვა წლის შემდეგ კი მინისტრად. ამ პერიოდში გოეთე ამთავრებს თავის დრამას „ტორკვატო ტასო“.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს ბევრი საუცხოო ნაწარმოები დაწერა მან: „ვილჰელმ მაისტერის სწავლების წლები“, „ჰანდორა“, „საარჩევნო ნათესაობა“.


ყველა ეს ნაწარმოები კარგია და ძვირფასი. მაგრამ გოეთეს შემოქმედებაში განსაკუთრებით გამოირჩევა „ფაუსტი“, რომელზედაც ავტორი თითქმის მთელ თავის სიცოცხლეში მუშაობდა, ღრმად მოხუცებაში მყოფიც კი გულისყურით ასწორებდა „ფაუსტის“ სტრიქონებს და ახალახალი აზრებით ავსებდა მას.

1832 წელს გარდაიცვალა გოეთე.



გოეთი

შეშვა



ეს ვინ მოჰქრის ასე გვიან, ღამე, ცხენით ქარში?
მამა არის, ხელთ უჭყრია მას თავისი ბავშვი.
ბავშვი ხელში უჭავია, ფრთხილად ახვევს მკლავებს,
თავისაკენ იზიდავს და ნიავს არ აკარებს.

— ჩემო ბიჭო, რათა მალავ სახეს შეწინებულს?
— მამავ, როგორ ვერა ხედავ ტყის ხელმწიფეს წყეულს?
ტყის ხელმწიფეს, დაშვენებულს გვირგვინით და კუდიო!
— ეგ ზოლია, ჩემო ბიჭო, გავლებული ბურით.

„ჩემთან მოდი, მე წამომყე, საყვარელო ბავშვო,
მინდა ბევრი სათამაშო შენთან ვითამაშო.
იქით ნაპირს ყვავილები ხარობს მრავალფერი,
დედაჩემსაც უხვდა აქვს ოქროს სამოსელი.“


— მამაჩემო, ჩემო მამავ, ნუთუ აღარ გესმის,
რას მპირდება ტყის მეფე და როგორ ღიმილს მესვრის?
— ჩუმად იყავ, მშვედად იყავ, საყვარელო ბავშვო,
ქარმა მხოლოდ შეარხია ხეთა ხმელი ნეშო.

„გინდა, ბიჭო მშვენიერო, რომ წავიდეთ ერთად?
ჩემ ქალებს სურთ შენი ნახვა, საუბარი შენთან.
ჩემი ქალნი ჩააბამენ ღამეობით ფერხულს,
დაგარწვევენ, გიმღერებენ მუდამ ძილისპირულს.“


— მამაჩემო, ჩემო მამავ, ვერ უსწორებ თვალებს
ბნელ ადგილას დავანებულ ტყის ხელმწიფის ქალებს?
— ჩემო ბიჭო, ჩემო ბიჭო, ამას ვხედავ კარგად:
ტირიფები ამართულან ცაში ნაცრის ფერად.

„მე მომხიბლა შენმა ტანმა, შენმა სილამაზემ,
თუ თანახმა არ იქნები, ძაღვთ გავიტაცებ.“
— მამაჩემო, ჩემო მამავ, აგერ, ახლოს ნახე:
ტყის ხელმწიფე ხელს მტაცებს და ტკივილებში მახვევს.
მამა ძრწოლამ აიტანა, მიჰქრის, მიჰქრის სწრაფად,
ბავშვი ოხრავს, ხან კენესის და თვალებს შიშით ნაბავს.
მიჰქრის, მიჰქრის, გადათელა გაჭირვების თქეში,
ჰა, ეზოსაც მიაღწია მკვდარი ბავშვით ხელში.

თარგმნა გერმანულიდან თ. შანშიაშვილმა.



შეხვედრა



ქობულეთში ყველაზე დიდი პიონერ-ბანაკისათვის მეტად ჩინებული ადგილი ამოურჩევიათ. დიდ ეზოში სამი ცისფერი სახლი დგას, შახმატურად განლაგებულ ხეებს გრძელი რტოები ერთმანეთში აქვთ გადახლართული და ერთიან ჩრდილში ხავერდოვანი მინდორი ბიბინებს. ფაფუკ მდელოზე მოუსვენარი ბავშვები ერთმანეთს მიმოსდევენ, ცეკვავენ და მღერაან.

ამ ბანაკს დასაველეთიდან შავი ზღვა უშხაფუნებს ტალღებს, ხასხასა ფერადი კენჭები მიმზიდველად ჩხრიალებენ. აქ ბევრ ენაზე მოლაპარაკებავს ბავშვებია; ზოგს ამის მეტად არ უნახავს ზღვა და ზოგსაც უფრო დიდი ზღვები გამოუტყურავს. ესპანელი, ჩინელი, ფრანგი მუშების შვილები, რუსები და ქართველები ერთმანეთთან მეგობრულად თამაშობენ.

— ამ გოგოს ვივა ჰქვია; პირველად რომ მოიყვანეს, ძალიან მოწყენილი იყო, ხმასაც არ იღებდა, მერე თანდათან გამხიარულდა. ახლა მე და ვივა კარგი მეგობრები ვართ მე მას ჩვენებური ცეკვაც ვასწავლე, — აღტაცებული ლაპარაკობს პატარა კაკო გოგეშვილი ჩინელ გოგონაზე.

უცებ საყვირის ხმა გაისმა. ბანაკში რალაც განგაშისებური მდგომარეობა შეიქნა, ყველა მოგროვდა. საყვირზე ვივაც დაფაცურდა. ის თავისი ორი მეგობრით ჭიშკართან იყო, მოტიტვლებულ მიწაზე ხუთქიმიან ვარსკლავს აწყობდნენ ზღვის კენჭებისაგან; ვივა საყვირის ხმის გაგონებისთანავე ფეხზე დადგა და გადახე და ნამუშევარს.

— წამოდი, ვივა, გვაგვიანდება, — მიმართა ამხანაგმა.

ეს სიტყვები ვივამ თითქოს ვერ გაიგონაო, უცებ დაიხარა, სადღაც ერთი კენჭი ამოაძრო და მის მაგიერ სხვა ჩასვა. მერე კვლავ შორიდან გადახედა და გაიღიმა:

— ასე სჯობია, — თქვა და სირბილით გაექანა იქითკენ, სადაც სხვა ბავშვები მოგროვილიყვნენ.

ხელმძღვანელი პავკა მათ შუა იყო, ციბრუტით ტრიალებდა, რალაც სახუმარო ამბებს ჰყვებოდა, აცინებდა პატარა მეგობრებს. აქეთ-იქიდან კიდევ გაისმოდა შეძახილები:

— კიდევ, პავკა, კიდევ გვითხარი რამე!
პავკამ ყველაფერი ზომიერად იცოდა. ახლაც, ბავშვების შეძახილები თითქოს ვერ გაიგონაო, ხელი ხელს შემოჰკრა და სიჩუმე ჩამოეფარდა:

— ახლა, ამხანაგებო, ზღვაზე წავიდეთ.

ბავშვები უცებ გამწყრივდნენ და ჭიშკრისაკენ გაემართნენ. გასავალში, კოშკის თავზე მორიგე პიონერი იდგა. მეორე მორიგე პიონერი კი ჭიშკრის კიდეში. თავზე პრილა ქული ეხურა და ხელში ხის თოფი ეჭირა. მეტად მკაცრი გუშავი იყო ეს პატარა ბიჭუნა: უნებართვოდ არავის ატარებდა.

პიონერები წავიდნენ, ბანაკი სულ დაცალიერდა, ხოლო ჭიშკართან მარტოდ იდგნენ გუშავები. მათთან რამდენიმე ქალი და კაცი მივიდა, ბანაკში უნდოდათ შესვლა. ერთი, მთლად ჭაღარა, ქალი ის იყო შევიდა ჭიშკარში, მაგრამ პატარა გუშავმა უბრძანა:

— ბანაკში შესვლა არ შეიძლება!

— ბიჭუნა, ჩვენ მწერლები ვართ, თქვენთან სალამო უნდა ჩავატაროთ და არ შემოვიდეთ? — უთხრა ჭაღარა, დარბაისელმა მწერალმა ქალმა.

— არა, უნებართვოდ არ შეიძლება.

— ნებართვას სად იძლევიან?

— აი იქ, მიბრძანდით და მოგცემენ.

მწერლების მისვლის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ბანაკს. წითელყელსახვევიანი პიონერები ციციანთელებივით დაცქრიალებდნენ ეზოში.

პავკამ სტუმრებისა და ბავშვების შეხვედრა ხეების ქვეშ, მწვანე მოლზე მოაწყო. ნიავი ლამაზად აბიბინებდა ხავერდოვან ბალახს, თან ზღვის ტალღების შხუილი მოჰქონდა.

კაკო გოგეშვილს გუშავობა უკვე დაემთავრებინა და ისიც სტუმრებს ეგებებოდა, მოციმციმე თვალებით უცქეროდა საყვარელ მწერლებს.

სალამო გაიმართა.

მწერლებმა თავიანთი ლექსები და მოთხრობები წაუკითხეს პიონერებს, მერე კი ბავშვებიც გამოვიდნენ თვითშემოქმედებით: კითხულობდნენ ლექსებს, მღეროდნენ და ცეკვავდნენ...

— კაკო, კაკო! — იძახდა პავკა.
ჯგუფიდან უცებ გამოერჩა გოგეშვილი, და მკვირცხლად დაიძახა.
— აქა ვარ.
ოცეკვებ?
— კი.

გახურდა დოლო. პატარა მედოლე უცნაურად ათამაშებდა ხელებს. კაკო შურდულივით გამოიჭრა, წრეს გარშემო შემოუარა, ფართო წრეში მკლავგაშლილი თავისუფლად მინაფარდობდა. ის ერთ

პატარა გოგონასთან მიცოცდა და საცეკვოდ გამოიწვია.

— ო, ჩინელი ვივა! ვივა! — გაისმა ხმები.
ვივამ თავი დახარა, გაინაზა, კაკომ კიდეც გააკეთა წრე და როცა მეორედ გამოიწვია ჩინელი გოგონა, ისიც გადმოვიდა...

ორი პატარა მეგობარი — ჩინელი და ქართველი, მწვანე ველზე ნიავევით დაქროლა. აღფრთოვანებულმა სტუმრებმა მოცეკვავენი ტაშით დააჯილდოვეს.

მოსწავლეთა შემოქმედება

წერილი ღერეს

წამოსვლის დროს სიტყვები რომ მითხარ მუდამ მახსოვს და ვიქცევი ისე.
არ ვცუღლუტობ, არც ვთამაშობ დიდხანს, ვარ ჯანმრთელად და ვგრძნობ სიხალისეს.

დილით, ადრე, თვალებს რომ გავახელებ, წიგნის კითხვა მიმიზიდავს ჯერ — მე. მერე მივალ, ვესტუმრები ბაღებს, შევექცევი ჩამაჭრებულ ქერებს.

უფრო მეტად დროს ვატარებ ტყეში და აზვიანულ ამ ბუმბერაზ მოეზზე.

აქ ვბანაობ და ჩვენს მდინარეში ხშირად ვიჭერ ანკესებით თევზებს.

როგორც აქ ვგრძნობ მოზღვავებულ ხალისს არასოდეს არ მიგვრძნია ასე. მხიბლავს ჩვენი განახლებულ მხარის სიკეკლუცი, ეშხი, სილამაზე...

წამოსვლის დროს სიტყვები რომ მითხარ მუდამ მახსოვს და ვიქცევი ისე, არ ვცუღლუტობ, არც ვთამაშობ დიდხანს, ვარ ჯანმრთელად და ვგრძნობ სიხალისეს.

ვახტანგ ჯაჭავაძე

თბილისი, მე-30 სრული საშუალო სკოლა.



კავკასიის მთა-მყინვარებს ცად ავლდით თავი, ტყეს ჩაეცვა ზურმუხტების ფარჩა, მოსართავი.

შხის სხივებით დასიციხული ბარში სთვლემდა სიო, მთა უხმობდა: ფრთა გაშალე, ჩემთან მოფრინდიო.

მხოლოდ ცელქმა მთის მდინარემ იწყო ჩქარი დენა, როს მეჯოგემ ჩანჩქერებში ჯოგო ჩამოაღენა.


მიჯდა იქვე, სტყორცნა ქედებს სიხარულის მზერა, მხარგაშლილმა სალამური გრძნობით აამღერა.

აამღერა, მისი ჰანგი არ გავს წარსულ კენესას ეს სულ სხვაა, ირგვლივ ვნების ცეცხლი დააკვესა.

კავკასიის მთის კალთებზე ნეტარება ღვივის, ყველა ხარობს, ყველას სწვდება ახალ ყოფის სხივი.

მურმან ლებანიძე

თბილისი, მე-35 სრული საშუალო სკოლა.





დაახლოებით სამასი წლის წინათ დაიწყო სარკის გაკეთება ვენეციაში. სხვაგან არსად არ იცოდნენ მაშინ სარკეების კეთება. ლითონის ფირფიტა ან რაიმე პრიალა ნივთი იხმარებოდა სარკედ.

ვენეციელებმა ქარხანა ერთ პატარა კუნძულ მურანოზე ააგეს, რომ სარკის კეთების საიდუმლოება არ გაჰქაფებულყო. საცოდავი მუშები სხვა ადგილზე გადასვლას ვერ იცნებოდნენ, მათ და მათ ოჯახსაც სიკვდილით დასჯა მოელოდათ.

უცხოელები ძალიან მოწადინებულნი იყვნენ გაეგოთ ვენეციელების საიდუმლოება. საფრანგეთის მთავრობამ დაავალა თავის ელჩს ვენეციაში როგორმე წაეყვანა საფრანგეთში სპეციალისტი მუშები.

ელჩმა დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ შეესრულებინა დავალება. მან ფარული მოლაპარაკება გამართა ზოგიერთ ვენეციელთან.


ერთხელ ელჩის სახლთან მიცურდა გონდოლა, რომელშიც მურანოს მცხოვრები იჯდა, დაიწყო საქმის მოგვარება. იგი შეუთანხმდა ელჩს. წყნარ და ბნელ ღამეში კუნძულ მურანოს მიადგა 4-კაციანი შეიარაღებული ნავი. უმაღვე გამოატარა ნავმა 4 კაცი და გაუყენა საფრანგეთის გზას. ოთხმა მეშუემ დატოვა მურანო, მეწვრილმანემ კი ოქროთი გატენილი ტომარა წაიღო გასამრჯელოდ. ვენეციაში საშინელი განგაში ატყდა, მაგრამ მუშები უკვე პარიზში იყვნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ზედიზედ დაიხოცნენ საუკეთესო სპეციალისტები. ეს გამოწვეული იყო იმისაგან, რომ მათი ორგანიზმი ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მოიწამლა ვერცხლის წყლისაგან.

უცნაური ქმნილებანი ზღვის ზღაბი და ზახაკი



შორეულ ამერიკის ანტილიის კუნძულების მიდამოებში (ატლანტის ოკეანეში) ხშირად გვხვდება ერთი უცნაური თევზი, რომელსაც გარეგნობის გამო სამართლიანად აქვს დამსახურებული ზღვის ზღარბის სახელწოდება. მშვიდობიან პირობებში მას წაგრძელებული ტანი აქვს, სხეული-ეკლოვანი ნემსებით შემოსილი, დახრილ, მოდუნებულ მდგომარეობაში; ბოლო თევზისა აქვს, წინა ნაწილი-ცოტა ტლანქად, ულამაზოდ გაფორმებული. საფრთხის დროს ზღვის ზღარბი სავსებით იცვლის გარეგან შესახედაობას, საკვირვლად იბერება, ნემსოვანი ეკლები ყალყზე უდგება და იგი ბირთვისებრ სახეს იღებს. მასზე თავდასხმას უკვე ვერაფერს ბედავს, მას ონაფარი თევზები ფრთხილად უვლიან გვერდს. ანტილიის კუნძულებზე მცხოვრებ ბავშვებს ძლიერ უყვართ ზღვის ზღარბის დაჭერა, მათ ართობს, მხიარულ გუნებაზე აყენებს ზღვის ზღარბის ბრაზიანი უძლურება და ნემსებით მუღმივი მუჭარა.

ხმელთაშუა ზღვაში, მეტადრე მდ. ნილოსში, დაცურავენ თევზღარბის მსგავსი არსებანი, რომელთაც ფახაკს უწოდებენ. ფახაკებს ნემსოვანი ეკლებით მხოლოდ მუცლის მიდამოები აქვთ მკირვედ შემოსილი. მტრის შემჩნევის შემთხვევაში ისინი წყლის ზემოთ თავს ყოფენ, ჰაერს ისუნთქავენ და პატარა ტიკტორასავით იბერებიან.




ბირთვივით დამრგვალებულ არსებებს უკვე არ ძალუძთ მოძრაობა მაგრამ, მტერსაც არ შეუძლია მათი გადაკლავა ფრიად დიდად გაბუნძვის გამო. ფახაკი ამ ოინებით ადვილად აღწევს თავს გამძვინვარებულ მტაცებელ თევზებს. ბავშვებს ფახაკის დაჭერაც ძლიერ ახარებთ, ისინი მას ხელოვნურად ბერავენ და ბურთივით ათამაშებენ.

ბასარტობი

აქ თქვენ ხედავთ გალიას და ექვს იაღონს, რომლებიც გამოფრინდნენ ამ გალიიდან. საჭიროა ყველა ეს იაღონები მოათავსოთ გალიაში ისე, რომ იაღონებით მთლიანად შეივსოს გალიის კვადრატი.

როგორ მივიღოთ კვადრატი?



გამოჭერთ ასეთივე ფიგურები და დაალაგეთ მათგან კვადრატი.

პასუხი № 7-ში მოთავსებულ განაკითხვაში

როგორი ზღვაა?



კასპიის ზღვა.